

## საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანული კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2, 09.01.2006, მუხ. 12) შეტანილ ქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადგილობრივი თვითმმართველობა – თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;“.

2. მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით ან ან თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოს (საკრებულოების) წარდგინების საფუძველზე მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით საკითხის აღდვრისას, გამართოს კონსულტაცია თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) ან მოსახლეობასთან.“.

3. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით ან თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების წარდგინების საფუძველზე მიმართავს საქართველოს პარლამენტს თვითმმართველი ერთეულების აღმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით. თვითმმართველი ერთეულების აღმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს მთავრობა, ვალდებულია საკუთარი ინიციატივით საკითხის აღდვრისას, გამართოს

კონსულტაცია თვითმმართველი ერთეულის (ერთეულების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) ან მოსახლეობასთან.“.

4. დაქმატოს შემდეგი შინაარსის მე-14<sup>1</sup> მუხლი:

„14<sup>1</sup>. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები განისაზღვრება მართვის ეფექტურობის, ეკონომიკურობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულობის პრინციპების გათვალისწინებით.“

5. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 61. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე დგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

2. ყველასთვის გარანტირებულია თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

## განმარტებითი ბარათი

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ” მიღება.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტან “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან თრგანული კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები თრგანული კანონის პირველ და 61-ე მუხლებში და ემატება 151 მუხლი.

თრგანულ კანონში უნდა დაზუსტდეს თვითმმართველობის დეფინიცია. ნაცვლად მოქალაქეთა უფლებისა თვითმმართველობა განიმარტება, როგორც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების უფლება და შესაძლებლობა, რაც კონსტიტუციის მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტიდან გამომდინარეობს.

კონსტიტუციის  $101^2$  მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თრგანულ კანონში განისაზღვრება ის ძირითადი პრინციპები, რასაც უნდა დაეფუძნოს თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებების განსაზღვრა.

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის ჩანაწერის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის ორგანოთა და მომსახურეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს თვითმმართველობის ბიუჯეტიდან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი სარჯების დაფინანსების წყარო**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯებით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.გ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველები“ - კონსტანტინე ჩოკორაია, კახაბერ ურიადმყოფელი, სალომე ურუშაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი.